



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თხილისა და აგროკულტურების კომპანი-ს

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშების წარდგენასთან დაკავშირებით	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	Error! Bookmark not defined.0
1. შპს „თხილისა და აგროკულტურების კომპანი-ს-“ და მისი საქმიანობა.....	111
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	121
3. შეფასების საფუძველი	122

**შპს „თხილისა და აგროკულტურების კომპანიის“-ს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „თხილისა და აგროკულტურების კომპანია“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.



დირექტორი: ხათუნა ნანავა



2025 წლის 29 სექტემბერი, საქართველო

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	Note	2024	2023
შემოსავალი	6	497561	357,672
თვითღირებულება	7	-1115361	-956,197
		-617800	-598,524
საოპერაციო მოგება			
რეკლამა და სადისტრიბუციო ხარჯი	9	-3923	-6,890
ადმინისტრაციული ხარჯი	8	-295035	-465,154
საოპერაციო მოგება		-916758	-1,070,568
ფინანსური შემოსავალი		0	
ფინანსური ხარჯი			
არასაოპერაციო შემოსავალი		111321	310,252
არასაოპერაციო ხარჯი		-133698	-1,567,058
		-22377	-1,256,806
მოგება დაბეგვრამდე		-939135	-2,327,374
მოგების გადასახადი			
მოგება/ზარალი		-939135	-2,327,374

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბ. ბიძა

დირექტორი: ბატონა ნანავა



შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები - შენიშვნა 9		
მანქანა დანადგარები აღჭურვილობა	2,695,140	3,193,280.163
არა მატერიალური აქტივები	3,533	3,533.05
ბიოლოგიური აქტივები	152,013.8	152,013.8.19
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	4,218,811	4,716,951
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები- შენიშვნა 13	75,808	18,702
დებიტორული დავალიანება-შენიშვნა 11	40,390	42,798
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-
სხვა საგადასახადო აქტივები	-	-

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშების ასანა-განმარტებითი შენიშვნები

16,168

12,756

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

მარაგები-შენიშვნა 10	203,524	198,798
მთლიანი მიმდინარე აქტივები	335,890	273,053
მთლიანი აქტივები	4,554,701	4,990,005
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	0	0
დაგრივილი მოგება/ზარალი	-33,730,472	-32,791,337
რეზერვები/ძირ.საშ. გადაფასების რეზერვი	0	0
სულ კაპიტალი	-33,730,472	-32,791,337
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები-შენიშვნა 14	32,707,894	32,434,623.05
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	32,707,894	32,434,623

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა-ქართული ლარი


მიმდინარე ვალდებულებები	31,887	2784
მიმდინარე სესხი- შენიშვნა 15	4,722,011	4,722,011
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები-შენიშვნა 14	823,381	621,924
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სხვა მიმდ. ვალდებულება		0
ჯამური მიმდინარე ვალდებულებები	5,577,279	5,346,719
სულ ვალდებულებები	38,285,173	37,781,342
ჯამური ვალდებულება და კაპიტალი	4,554,701	4,990,005

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 29.09.2025 -ს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ :



დირექტორი - ხათუნა ნათვლიშვილი



კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	-30,463,963	-30,463,963
პერიოდის წმინდა მოგება	-	-2,327,374	-2,327,374
სარეზერვო კაპიტალი	-		
ცვლილება საწყის კაპიტალში			
მოგების განაწილება		-	-

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მდგომარეობით

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

-32,791,337

-32,791,337

პერიოდის წმინდა მოგება

-939,135

--939,135

სარეზერვო კაპიტალი

-

-

-

ცვლილება საწყის კაპიტალში

-

-

მოგების განაწილება

-

-

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

-

-33,730,472

-33,730,472

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 29.09.2025-ს და მათისაზელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ :

დირექტორი: ნათუნა ნანავა



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2024 31/12/2023

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

1171609

1197655

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

0

0

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

-1114503

-1245151

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

57106

-47496

შპს თხილისა და აგროკულტურების კომპანია

ფინანსური ანგარიშგების სასანგარიშგებო შინაარსი და მათი
 ეკვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

0

0

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის
 დასაწყისში

18702

66198

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის
 ბოლოს

75808

18702

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმოძღვანელობის მიერ 29.09.2025-ს და
 მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ :

დირექტორი : ნათუნა ნანავა



1. შპს „თხილისა და აგროკულტურების კომპანია“ საოპერაციო გარემო და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური
 ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და
 აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
 წლისთვის შპს „თხილისა და აგროკულტურების კომპანია“ („კომპანია“).

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის პარნიორები არიან: ალექსანდერ პოტემკინ 100%.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სიფლის მეურნეობა კერძოდ მოცვის მოყვანა დაფასოება.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ 93. მისი ძირითადი საქმიანობაა სიფლის მეურნეობა

წარსადგენი ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

თანხების დამრგვალება. ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულ ქართულ ლარამდე თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობები ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილებების საგანია. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ გათვალისწინება ყველა გარემოება რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ამ ეფექტს, არსებობის შემთხვევაში, რა გავლენა შეიძლება ქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. შეფასების საფუძველი

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანია

წინამდებარე ანგარიშგებას აწარმოებდა შპს თხილისა და გროკულტურების კომპანია, რომელიც დაფუძნებულია ღირებულების კონვენციის საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელთა პირვანდელი ღირებულება რეალური ღირებულებით არის შეფასებული. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად და საოპერაციო გარემოს გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანია

ფინანსური ანგარიშგების აქსონგენერატორების შედეგების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი წვეთის განაკვეთის კორექტირება.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცემა) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანია

საქონლის მფლობელების ანგარიშგებისას დაგეგმილი შედეგები თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარმოქმნილი მოთხოვნები მოიცავს არა საოპერაციო შემოსავლიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და მომწოდებლებისათვის გადახდილ ავანსებს. რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით და საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. ისეთი პროდუქცია რომელსაც ახასიათებს შენახვის მოკლე ვადები ან

საჭიროებს სპეციალურ შენახვას, კორექტირებულია და ჩამოწერილი იმ საანგარიშო პერიოდში რა დროსაც მოხდა მისი გაუფასურება შესაბამისი მიზეზების გამო.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის

- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონაწიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებულ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააქონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

აღმასრულებელი დირექტორის განცხადებასთან დაკავშირებით (ივერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შედგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვლის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|--|--------------|
| • შენობა-ნაგებობები | • 20-30 წელი |
| • მანქანა დანადგარები | • 5-10 წელი |
| • ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | • 5-10 წელი |
| • სხვა ძირითადი საშუალებები | • 5-10 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბიოლოგიური აქტივები

რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან ნაყოფის მიღების მომენტში.

ბიოლოგიური აქტივები, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით;

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

აღირიცხება თვითღირებულებით საიდანაფ გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სესხის ძირითადი ნაწილი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ვალდებულებებს და არც ერთი მათგანს არ გააჩნია 12 თვეზე მეტი გადახდის პირობა.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი
საქონლად აღიარებულია როგორც ვალუტის ერთეული, რომელიც აღიარებულია როგორც საწესდებო
კაპიტალი, რომელიც მოიცავს დამფუძნებლების ფულად და არა ფულად შენატანებს. დივიდენდის აღიარება ხდება
ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

ამონაგების აღიარება

თამაშებით მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა შემოსავლის სახით, რაც გაიანგარიშება მიღებულ თანხებს
გამოკლებული მომხმარებელთა მოგება და ქეშბექ ბონუსები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც
ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

საოპერაციო ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კომუნიკაციის, ადმინისტრაციის ხელფასის და სხვა ისეთ დანახარჯებს,
რომელის გაწევაც ხორციელდება განსაზღვრული ვალდებულების უწყვეტად შესასრულებლად.

5. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან
ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი
კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული
მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

17. გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა
ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ

სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე
კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად
განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს
დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გარემოებები რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს
წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

შპს თხილისა და გროკულტურების კომპანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

დირექტორი:

ხათუნა ნანავა

